ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

იჯარის შესახებ

ეს ხელშეკრულება მხარეებს შორის დაიდო და ხელმოწერილ იქნა
ქ. თბილისში, 2012 წლის 19 დეკემბერს

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს "თაეკვერი" (ს/კ 211360481) იურიდიული მისამართით, საქართველო, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №16ა (შემდგომში "**მეიჯარე**") წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა სიდამონიძის მინდობილი პირის ლილი ბუტიკაშვილის (დაბ. 10.04.1954 წ. პირადი № 01004011315, მცხოვრები ქ. თბილისი, ბიჭვინთის III ჩიხი №3) მიერ

და

მეორეს მხრივ, შპს "გურმანი VIII" (ს/კ 406082206) იურიდიული მისამართით საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, წულაძის ქ. № 32 (შემდგომში "**მოიჯარე**") წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე კვიტიას (დაბ. 20.05.1971 წ. პირადი №62001011482, რეგისტრირებული ქ. სოხუმი, თბილისის გზადკეცილი 665, სახლი 11, ბინა 4, მცხოვრები, ქ. თბილისი, წულაძის ქ. №32) მიერ

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების თანახმად "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იჯარით – დროებით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის" საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №16ა მდებარე უძრავ ქონებას, რაც შეადგენს 871.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობებით. (შემდგომში "ობიექტი"). (საკადასტრო კოდი № 01.10.15.020.004)

1.2 "მეიჯარე" "მოიჯარეს" "ობიექტს" გადასცემს ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის არსებულ მდგომარეობაში, "მოიჯარისათვის" საჭირო ინვენტარის სრული აღწერის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

1.3 "ობიექტს" "მოიჯარე" გამოიყენებს სამეწარმეო მიზნების განსახორციელებლად, კერძოდ საკვები ობიექტის მოსაწყობად და ფუნქციონირებისათვის.

1.4 „ობიექტი" „მოიჯარეს" გადაეცემა 2012 წლის 19 დეკემბერს;